

გაზეთი ღირს:

Table with 4 columns: თვე (Month), მან. კ. (Man. K.), თვე (Month), მან. კ. (Man. K.). Rows show monthly subscription rates for 12, 11, 10, 9, 8, 7, 6 months.

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გაზეთის მფლობელი: ივერიის გამომცემლობა

ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად


და განცხადებთა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამოერც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხედზე—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერიის



დღესასწაულისა გამო შედგევი ნომერი გამოვა კვირას 1 ივლისს

საფთვიაჟა საქონლით მიუჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დ ე ვ ი

იმყოფება ტფილისში მუხრანთან ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალო გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადღესასწაულო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსაუფლო და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საქირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საჭლეარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საბრწყინებელი საშუალო).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

გ ა ნ ყ ა უ ა ლ ე ბ ა

სასახლის ქუჩაზე, დ. წ. სარჯაშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлиси, т-во Фармацевтов—провизору Алхазову.

(100—43—55)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰქონს, პირველ ივლისიდან გაზეთის გაზეთს არ მოეხმოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა, კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საცხინაშვილისა, № 21 (ვორანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ა. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მისხად გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ბ. ახაძე—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ბ. მ. შატალია—თვალის 11—12 საათ.

ქვიში ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. გ. ფედოროვა. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკვენი—საქირურგო—12 1/2—1 1/2 საათ. სამშობლოთ 3—4.

ა. დ. ბუტაბუგაია—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1 1/2—2 ს.

ს ა ლ ა მ ო ტ ი:

ა. ნ. თუმანიშვილი—დღეათა სნეულებანი—5—6 საათ.

ბ. ა. ბუდოკოვაია—შინაგანის (სტომიქის ავადმყოფობანი) და მი-

კრო-ქიმიური გამოკვლევა 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. გ. მადლაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ქვიმის ნავსარდინისა

(კუკიაში. ვორანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავსარდინა. 11—12 ს. სადღესასწაულო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

წ. ა. ბაბანასაიანი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ვ. მ. ჩაქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

გ. ი. გუდუშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. შ. კარაბუციაძე. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ლ ა მ ო ტ ი:

ნ. ნ. როსტომბეგოვა. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვა. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუტრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავსარდინა. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ა. ტ. არჯანაძე. 11—1 დ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-საეს“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით.

დიპლომირებული სამკურნალო დოქტორი მუდიანისა ნავსარდინა.

Первая частная лечебница—д-ра Навасардиана.

Тифлиси, противъ памят. Воронцову.

ბრძანება მისი იმპერატორების უდიდებულესობისა, სრულიად რუსეთის თვითმმართველისა, უფიქსის უმართავლობის სინოდიდან

სინოდის წევრს, საქართველოს ექსარხოსს ქართლ-კახეთის მთავარ ეპისკოპოსს ყოველად სამღვდელთა ფლობანეს.

მისი იმპერატორების უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, უწმიდესმა უმართებელსმა სინოდმა, მოისმინა რა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის წინადადება თქვენის ყოველად უსამღვდელოესობის მიერ აღძრულ საკითხის გამო იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იქმნენ იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სასულიერო უწყების სასწავლებლები საქართველოს ექსარხოსის და ადგილობრივ მღვდელ-მთავართაგან, ბრძანა: მიიღებინა რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სასულიერო უწყების სასწავლებლები, მათის წესდების თანახმად, იმყოფებიან იმ ეპარქიათა მღვდელ-მთავრების უახლოეს გამგეობის ქვეშ, სადაც ეს სასწავლებლები არსებობს, და აგრეთვე მიიღებინა რა სახეში ისიც, რომ მომქმედ კანონდებათა თანახმად, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საექსარხოსოს მართვა-გამგეობის საქმეს, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავრები განაგებენ მათდა რწმუნებულს ეპარქიებს საქართველოს ექსარხოსის და ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის მთავარ უფროსობის ქვეშ, უწმიდესმა სინოდმა, სასწავლო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ, განაწესა, რათა თავიდან აცილებულ იქმნას გაუგებრობა იმისა, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იქმნან იმერეთის და გურია-სამეგრელოს სასულიერო უწყების სასწავლებლები საქართველოს ექსარხოსისა და ადგილობრივ მღვდელ-მთავრებისაგან, დადგენილ იქმნას ამ სასწავლებელთა გამგეობაში ასეთი წეს-რიგი: საქართველოს ექსარხოსი, როგორც მთავარ-უფროსი საექსარხოსოს სასულიერო უწყების ყველა სასწავლებლისა, განაგებს უფრო დიდ საქმეებს იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არსებულ სასწავლებლებისას; კერძოდ მისი გამგეობას ეკუთვნის: 1, წარდგენა უწმ. სინოდში სასულიერო სემინარიების რექტორის და ინსპექტორის

კანდიდატებისა (წესდ. სემ. მუხლები 23, 24, 38); სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველისა და იმის თანამშემშენის კანდიდატებისა (სასწ. წესდ. მუხლები: 43 და 58) და აგრეთვე საეპარქიო დედათა სასწავლებლების უფროსის ქალის კანდიდატისა (მუხლ. 27 წესდ.); 2, ერთი საგნიდან მეორე საგანზე გადაყვანა იმ მასწავლებელთა, რომელთაც ნიშნავს სასულიერო სასწავლო უწყების მთავარი გამგეობა, და დროებითი, სამსახურზე გულგრილობისათვის, დათხოვნა თანამდებობიდან მოსამსახურე პირთა (სემ. წესდ. მუხლი 18; სას. სასწ. წესდ. მუხლი 12); 3, გამწესება სემინარიის სტუდენტთა სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანამშემშენის თანამდებობაზე და სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლებად (სასწ. წესდ. § 61 შენიშვნა) და აგრეთვე ნებართვის მიცემა სხვა უწყების მასწავლებელთა თვის სასულიერო სასწავლებლებში სწავლებისა (§ 62 სასწ. წესდ.); 4, საეპარქიო დედათა სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარის და ამავ სასწავლებელთა დამტკიცება (წესდ. მუხლები: 17, 47, 54, და შენიშვნა); 5, შუამდგომლობა თანამდებობის კაცთა დაჯილდოების შესახებ; 6, სასულიერო სასწავლებელთა რევიზიის დანიშვნა (წესდ. სასწ. მუხლი 29); 7, სასულიერო უწყების სასწავლებელთა სასწავლო და ზნეობის მხრით მდგომარეობის შესახებ წლიურ ანგარიშების წარდგენა უწმიდეს სინოდში; 8, შუამდგომლობა სასულიერო სემინარიაში პარალელურ განყოფილებათა გახსნის შესახებ (წესდ. სემ. მუხლი 8 და 9); 9, სასულიერო სემინარიების საპედაგოგო და საგამგეობო კრებათა საქმეები; ა, დანიშვნა საეკლესიო მოწაფეების სას. აკადემიაში შესასვლელად (წესდ. სემ. მუხლი 103 შენიშვნა 6); ბ, სემინარიიდან არა კეთილ-საიმედო მოწაფეთა დათხოვნა (წესდ. სემ. § 103 შენიშვნა 1); გ, პროგრამებში სხვა-და-სხვა განზრახულ სასურველ ცვლილებათა განხილვა (მუხლი 13); დ, გაიონახვა და განხილვა საზოგადო ზომათა და საცვლად და გასამტკიცებლად კეთილის ზნეობისა მოწაფეთა შორის (მუხლი 21, დ) დაკენანი ადგილობით სასულიერო სასწავლებელთა საქმეების გამო, რომელიც უნდა დამტკიცებულ იქმნას უწმიდესის სინოდის მიერ (მუხლი 23 და სას. სასწ. წესდ. მუხლი 25); ე) ხარჯთ აღრიცხვის შედგენა (სემ. წესდ. მუხლი 104 შენიშვნა 10); 10) სასულიერო სასწავლებელთა საქმეები: ა) ცუდი მოწაფეების დათხოვნა სასწავლებლიდან (წესდ. სასწ. მუხლი 37 შენიშვნა 6; ბ) გამოიხილვა და

განხილვა საზოგ. და ზომებისა მოსწავლეთა შორის კეთილ ზნეობის-დასაცვლად და გასამტკიცებლად; გ) შედგენა წლიურ ხარჯთ-აღრიცხვისა სასწავლებლის შესანახად (მუხლი 11) და საეკონომიო ნაწილის წლიურ ანგარიშისა (მუხლი 16).

11, საეპარქიო დედათა სასწავლებლების საბჭოთა საქმეები: ა) გამოიხილვა და განხილვა საზოგადო ზომათა გასამტკიცებლად სასწავლო და საღმრთლო ნაწილისა სასწავლებელში (წესდ. § 24 შ. 6); ბ) საკითხები პროგრამებში სასულიერო ცვლილებათა შემოღების შესახებ (§ 9); გ) სასწავლებლის შესანახად წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა (§ 11) და საეკონომიო ნაწილის წლიურ ანგარიშის შედგენა (§ 19); 12, ყველა ის საქმეები, რომელთა გადაწყვეტაც არ შეუძლიან სასულიერო სასწავლო უწყების და რომელთა გამოც საქირო აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ამ უწყების მთავარ გამგეობის წინაშე.

ამას გარდა ყველა საქმეები იმ სასულიერო უწყების სასწავლებლებისა, რომლებიც იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებშია, მიენდება ადგილობრივ მღვდელ-მთავრების პირდაპირ გამგეობას; ამასთანავე ყოველად სამღვდელთა შეუძლიანთ ყოველს საქირო შემთხვევაში შუამდგომლობანი აღძრან მათდა რწმუნებულ სასულიერო უწყების სასწავლებელთა საქმეების გამო, რის შესახებაც გაეგზავნოს თქვენს ყოველად-უსამღვდელოესობას ბრძანება. თებერვლის 13 დღეს, 1901 წ.

(საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბე.)

ახალი ამბავი

* ტფილისის ქალაქის გამგეობაში გუშინ წინ ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებულს სხდომამდე მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე ბელგიის უსახლო საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი რიდ-ზინსკი და ბლანშე, ქალაქის ინჟინერი, ქალაქის ტენიკოსები და სხვა სპეციალისტნი. ამ კრებას უნდა გადაეწყვიტა, ეხლავე შეუდგენ ქალაქის იმ ქუჩების საუკეთესოდ მოკირწყლას, სადაც ცხენის რკინის გზის ლიანდაგი გაყვანილი, თუ მაშინ, როდესაც უსახლო საზოგადოება წარუდგენს გამგეობას ელექტრონის ტრამვაის გასამართავად დამტკიცებულ პროექტს. კრებამ, სასურველად იცნო რა, რომ უსახლო საზოგადოებასთან ერთად შეუდგენ აღნიშნულ ქუჩების მოკირწყლას, გარდასწყვიტა, მიიწვიოს მცირე კომისიაში ბ-ნი რიდზინსკი და ბლანშე, მათთან ერთად მცირე კომისიამ გამოარკვიოს ის, თუ რა

სისტემით უნდა მოიკრიფოს ქუჩები და აგრეთვე შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა. კრებამ სახეში მიიღო აგრეთვე ბ-ნ რიბინსკის განცხადება, რომელმაც სთქვა, ვაპირებ რუმინი-იდგან ისეთის კაცის დაბარებას, რომელსაც სპეციალურად ესმოდა ქუჩების მოკირწყვლის საქმე.

* * 25 ივნისს თიანეთში საშინელი სეტყვა მოსულა. სეტყვა ძალიან დაუზარალებია ყანები და ვენახები.

* * სუსულიერო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ სემინარიის პირველ კლასში შესასვლელად წერილობითი ეგზამენს გარდა წელს შემდეგ საგნებში დაჭერინებენ ეგზამენებს: რუსულს ენასა საეკლესიო სლოვიანურიითურთ, გეოგრაფიასა, ართმეტრიკასა და საეკლესიო გალობაში.

* * დღეს, 29 ივნისს, ტფილისის თავდაზნაურთა თეატრში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენაზედ. წარმოდგენენ რუსულად: „Въ чужомъ пиру похмѣлье“, ქართულად „ქაქუცა მჭირს“ და სომხურად „კრიტიკრიტი“? დასასრულ, თავ. ი. ბარათაშვილი და ბ-ნი ვ. ფალიაშვილის ხარო სიმღერებს შეასრულებენ. ამ წარმოდგენის შემოსავალი ავჭალის სახალხო თეატრის შესაკეთებლად იქმნება გადაღებული.

* * ტფილისში ჩამოვიდა და სახაზინო პალატის რევიზიას შეუდგება ფინანსთა მინისტრის მიერ გამოგზავნილი ა. ბლაუ, რომელიც შემდეგ ბაქოსა და ერევანში გაემგზავრება.

* * გასულ 1900 წელს ტფილისში ცეცხლი წაპკიდებია სულ 72 სახლს, სახლის პატრონთ ცეცხლისაგან 65, 915 მანეთის ხარალი მოსვლიათ. * * როგორც „არგ.“-ს პეტერბურგიდან დღემით ატყობინებენ, გზათა მინისტრის განკარგულებით ტფილისში მომავალ ავგისტოს რკინის გზის ელექტრო-ტენიკოსთა კრება მოხდება.

* * 27 ივნისს ქალაქის მოურავს გაუგზავნია ტფილისის გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება დიდი მთავრის ოლქი თეოდორეს ასულის ძეგლის აგებისა და დედათა უმაღლეს კურსებზედ მის სახელობაზედ სტიპენდიების დაარსების შესახებ.

* * ივლისში ტფილისს ესტუმრება რუს მხლოროს არტისტთა დასი ბ-ნ სუხოლოლსკის მეთაურობით. დასი სახაფხულო ტეატრში (პუშკინის) გამართავს წარმოდგენებს.

* * როგორც „კავკას“-ს ქუთაისიდან სწერენ, ამ დღეებში პეტერბურგიდან ჩამოვიდა ქუთაისში დოქტორი გიორგიევსკი, რომელიც სვანეთში გამგზავრებას აპირებს სამეცნიერო აზრით. ბ-ნ გიორგიევსკის თან რამდენიმე სტუდენტი მოჰყავს.

* * გზათა მინისტრს დაუგაფთხა რკინის გზების გამკეთებათათვის, რომ სადგურების მხრივ თანხებში ჩამოჰკადანს რკინის გზის მკურნალების, მასობადად არსებულ სამკურნალოთა, აუთოქთა და მასობადად მყოფ მკურნალოთა დაწესებები.

* * ტფილისის ქალაქის გამგეობაში 2 ივლისადგან შეტანილან საშუალებების 1-ად საათზედ შესწავლა და არა არსებულ, რაგორც წინადა იყო.

* * 27 ივნისს ტფილისის მხარის უფროსს თავ. დ. გ. ჯანდარეს მიუღია ტფილისის ნაწილის ბაქაულის ბ-ნ გუგუშვილისაგან შეტყობა დეპუტა: „სოფელ ლურსუგას და სხამს შუა შეგვხვდა მ ავსაგო, რომელთაც 7 მოხარული ცხენი მიჰყავდათ, ასტვდა ორივე მხრივ სომხედა სრფა. ავსაგების უგულა ცხენები და ერთი ავსაგო მკაღულ იქმნენ, მეორე მიმედ დაჭერით და შეეპყრათ, სოფო მესამე დაჭერილი დაიშაფა. მსუბუქად დაჭრილი იქმნა დარაჯი ვრსსწყენი, დარაჯებმა დიდი გულადობა გამოიჩინეს. ავსაგებს მიარეულად დაუწყეს სრფა დარაჯებმა: ვადი-შედემა და შეეშიშედემა. მოკლეული ავსაგო კატორდიდგან გამოჰქეუქეაფი-და ბარამოგო ქმა არის ცნობილ ავსაგის აჯი-ხალიდასი. ბარამოგო მირეულად დასტრა უფროსმა დარაჯმა კასიე-მა“.

* * მიხეილის მრასმეტრულ გუშინ წინ დრმად მოსუეს დათა მიწაშეპელს ფურგუნი დაეტკა და ქვეშ მოიტანა. დამსაშეე ვასუხის გეპში იქმნა მიღე-შედა, სოფო დაშეგებული მიწაშეილი მიხეილის სამკურნალოში გატყვანეს.

* * 26 ივნისს ქალაქის საბჭოს დარაჯში რუსეთის სატყენიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება მოხდა, რომელზედაც განხილულ იქმნა სატყენიკო მოგზაურობის საქმე. განზრახვა: ქვეშ 2 ივლისადგან დათავადაურონ სახაზინო თეატრი, სა-არტისტო საზოგადოების შენობა, სამხედრო საკრებულო ტაძარი და მე-2 გიმნაზია.

* * როგორც „ნ. ფურ.“-ს ატყობინებენ, ქუთაისის ქალაქის საბჭოს ერთს ხმასხს განცხადება შეუტანია ქუთაისში ქალაქის დამმარდის დაარსების შესახებ.

* * დ. კიათური. კვირას, 24 ივნისს, ჭათურის ხალი თეატრი ბ-ნის ქარიძის კონცერტით გაიხსნა. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ნატალია კვერცხი, ადვოკა ავსაგებისა, ბ-ნი პეტროვსკი, არაშეკვინი და სოფო ქარიძისა. ქ-ნი ნატალია კვერცხიმ თავისის მშენიერის ხმით mezzo soprano სხვა-და-სხვა არაბები და რამანსები შესრულა რუსულად, რომელთაც საზოგადოებაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, თითქმის უგულა ნომრები გაამოკრებინეს და ტაშის ცემით მრავალ გზის დააჯილდოვეს. ქ-ნი ადვოკა არა-შეკვინისამ, რომელსაც ვარშავის კონსერვატორიაში აქვს კურსი დამთავრებული, ფერტეპიანოზედ მშენიერად დაუგრა. დამკრეჭის ტეხ-ნიკა საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და უგულა მის მიერ დაკრული პიესები გასმარებინეს. ბ-ნის ქარიძის სოფოზედ კარგად იმდგრა, მაგრამ დამით მოგზაურობის კამო დადჯილდოება ეტყობოდათ. თეატრი ხაღბით სასუე იყო.

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის უმთავრეს კომიტეტის 27 ივნისს სხდომაზედ გამოფენის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარისა და წევრთა არჩევანი მოხდა; თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, მის თანაშემწედ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებული ბ-ნი მედევევი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ბ-ნი გეგევი; კომისიის წევრებად კომიტეტმა ამოირჩია გამოფენის გამგე-კომიტეტის ყველა წევრი და შემდეგნიც: ვ. ა. სტაროვსკი, ბ-ნი შავროვი, ტატარინოვი, ნ. ვერეშაგინი, ა. ა. როლოვი, ლენინი, გრიმი, ს. გულიშვილი, ტფილისი გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, გამოფენის კომისარი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირევი, მ. ა. შესტაკი, გენერალი ბ-ნი ზელიონი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გაკელი, ქალაქის მოურა-

კავკასიის მომავალი გამოფენა.

ქალაქის გამგეობას დაუდგენია გაიყვანოს წყლის მილი გამოფენაზედ ელისაბედის ქუჩისა და მუშტაილის შესახვევის მხრივ და მილის გასაყვანი ხარჯი დააკისროს გამოფენის გამგეთ, ხოლო წყალი უფასოდ დაეთმოს.

როგორც ქუთაისიდან „ახალ მიმ.“-ს სწერენ, ქალაქის საბჭოს 100 მან. გადაუღვია ადგილობრივ საგამოფენო კომიტეტისათვის. ამავე კომიტეტისათვის უმთავრესს გამოფენის გამგე კომიტეტს 200 მან.

ფალესტონი

მეცხარამბა საუაშვი III *)
გვლიდგა ზოფიტიკისა
(ერთა აღორძინება.—თანხმობით და ერთობით მოქმედება.— პანსლაფინი.—იმპერიალიზმი ინგლისსა და შემერთებულ შტატებში).

შუა საუკუნოებმა ახალ დროის სახელმწიფოებს ერთი ჩვეულება დაუტოვეს, დღეს უკვე დაიწყებას მიცემული. ეს ჩვეულება მემკვიდრეობით უფლებდა ამა თუ იმ სამეფო ტახტზედ. ამ უფლების ძალით ერთ სახელმწიფოს მეფეს, ნათესაობითი კავშირის მეოხებით, შეეძლო სხვა სახელმწიფოს მეფედ გამხდარიყო (და ეს სხვა სახელმწიფო თავისს სამფლობელოს პროვინციად გავხდა. საუკეთესო მაგალითს ამ უფლების საგებლობისას წარმოგვიდგენს ისტორია ნიდერლანდის (დღევანდელ ბელგიისა და ჰოლანდიისა) შეერთებისა ესპანისთან კარლოს მეხუთისა და ფილიპე მეორის მიერ.

როგორც ვუწყით, კარლოსი ნიდერლანდის მეფეთ სწორედ ამ უფლების ძალით გახდა. ეს მეფე არ აღორჩევით ნიდერლანდიელებს და არც თვით მას დაუპყრია ნიდერლანდია, საკმაო იყო დედით შორეული ნათესაობა ნიდერლანდის წინანდელ მეფესთან, რომ მთელი სახელმწიფო ხელთ ჩაპარდნოდა კარ-

ლოსს. ასე ესმოდა ხალხს მაშინ პოლიტიკური უფლებანი და აზრადაც კი არავის მოსდიოდა აჯანყება მდიდარ, თავისუფალ და ნახევრად პროტესტანტებით დასახლებულ ქვეყანაში ესპანის მთავრობისა და ჯარის შემოსევისა, ახალ წესწყობილებისა და მართვა-გამგეობის დამყარების გამო. ამ პროვინციებში ყველაფერი უცხო იყო ესპანელებისათვის: ჩამომავლობა, ენა, ზნე-ხასიათი, ჩვეულებანი... მაგრამ ოდესღაც ერთი ნიდერლანდიელი პრინცესა ესპანელ პრინცს მიათხოვეს და ამის გამო ერთ მშვენიერ დღეს ნიდერლანდიას უნდა ეცხოვრა და ეფიქრა ისე, როგორც ამას უბრძანებდა ინკვიზიციით ძლიერი და მტარვალობით სახელ-განთქმული კათოლიკეთა ესპანია... ისიც ყველამ უწყის, რით დასრულდა ესპანელთა მეტადინეობა, იმათი სურვილი ნიდერლანდიის ესპანად გადაქცევისა, ინკვიზიციის ძალიმომგრობისა, დევნა-წვალებისა და უზომო სასჯელწამებისაგან გაბრახებულნი პატარა პროვინციების მცხოვრებნი აუჯანყდნენ მთელის ქვეყნის მპყრობელს, ყოვლად ძლიერ ფერდინანდ მეორეს. დღევანდელ ბოერების წინაპარა საოცარის გმირობით ისახელეს თავი, გასაკვირველი სიმტკიცე და სიმადრე გამოიჩინეს და საუკეთესო მაგალითი გვიჩვენებს მამულიშვილობისა; მტერთან საბრძოლველად არაფერს არ დაერიდნენ, მათ აშლეს ზღვის გასამარებელ კედლის შლიეზები და წალკეს უმდიდრესი პროვინცია. დიდი, დაუფასებელი და

აუწერელი იყო ნიდერლანდიელთა ხარალი, მაგრამ ბოლოს მაინც გამარჯვეს: განდევნეს სამუდამოდ მტერი და თავისუფალი შტატები დააარსეს. ნიდერლანდიელთა გმირულმა ბრძოლამ, იმათა ფედერატიულმა წყობილებამ დიდი, მეტად დიდი გავლენა იქონია შემდეგში კაცობრიობის განვითარებაზედ.

მდიდარ პროვინციებისა და საფიქრო ქალაქების მოწინავე კაცი და მოქალაქენი არა ერთხელ ჰკიცხებდნენ სამკვიდროს, შუა საუკუნოების მიერ დატოვებულს. მაგრამ ჩვეულება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჯერ ისევ მე-XVIII საუკუნის დასასრულს ტოკანისა და დღევანდელ ბელგიას ჰაბსბურგების ხელში ეხედათ. იმ დროის პოლიტიკამ არ უწყაღა ერის უფლებანი და დაწესებულებანი, იგი ანგარიშს არ უწყევდა ეროვნულ განვითარებას. მაგრამ საზოგადოება, ნიდერლანდელთა დიად საეროვნო ბრძოლის გავლენისა და მაგალითის მეოხებით, თანდათან თვით-ცნობიერდებოდა. იგი თანდათან ირკვევდა, რომ ყველა ხალხსა და ერს უფლება აქვს დამოუკიდებლად მოქმედებისა, კულტურულად განვითარებისა, საკუთარ საზოგადო და საპოლიტიკო დაწესებულებათა შემუშავებისა. ის აზრი, რომ მეფის გამოაცვლისას ერმა კი არ უნდა იცვალოს თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება, არამედ თვით არჩეული მეფე უნდა დამოარჩილოს ქვეყნის წეს-წყობილებას, თვით იგი უნდა გახდეს პირველ მოქალაქედ, თან-

და-თან ძლიერდებოდა საზოგადოებაში და ნიადაგს ნელ-ნელა მე-19 საუკუნის პოლიტიკაშიც პოპულაბდა. ასე, მაგალითად, პრინცის კარლოსს ჰოგენცოლერნის რუმინიის მეფედ არჩევის შემდეგ, რუმინია სრულებითაც არ გადაქცეულა პრუსიის პროვინციად; არც საბერძნეთი გადაიქცა დანიად მეფე გიორგის არჩევის შემდეგ. ეროვნული უფლებანი, საზოგადოებრივი წყობილება, ხალხის დაწესებულებანი, იმისი ენა და ლიტერატურა ხელ-მეუხებელი, წმინდა შეიქმნა ყველასათვის. რა პატარა ერიც უნდა იყოს, სულ ერთია ჩერნოგორია იქნება იგი, სერბია თუ ბოლგარია, ამ ერის შინაურ საქმეებზედ, ეკონომიურ, გონებრივ და საზოგადოებრივ განვითარებაზედ გავლენა შეუძლიანთ იქონიონ მხოლოდ თვით ერის, თვით ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენელთ, იმათ საკანონმდებლო დაწესებულებათ,—სკუპშინისა, საზოგადო კრებას, პარლამენტს.

წარმომადგენლობით მართვა-გამგეობისა და საეროვნო პრინციპის გამარჯვება დასავლეთ სახელმწიფოთა და ხალხთა საპოლიტიკო ცხოვრებაში პირდაპირი შედეგია შესანიშნავ ისტორიულ პროცესისა—ერთა აღორძინებისა და საბერძნეთის, იტალიის, უნგრეთის, გერმანიის და სლოვანთა მრავალ ერების გაერთიანებისა. ამ ისტორიულმა პროცესმა მოიცვა დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ცხოვრება, მთელი განკლილი საუკუნე. უდიდესი

გაუგზავნია ექსპონატების შენახვად და წარმოსაცხადდა.

მომავალ გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი განუცხადებიათ კიდევ წიგნების გამოცემულ ფირმას „Прогресс“-ს (ბროგაჰუხისა და ეფრონის ლექსიკონი, დიდებულ მწერალთა ბიბლიოთეკა და სამრეწველო ცოდნათა ბიბლიოთეკა), თავ. კ. ჩიჯაძეს (საკუთარ ვენახების ღვინოები და სხვათა.

ომები (ოსმალეთისა 1827—29 წლ., ყირიმისა, იტალიისა, საფრანგეთ-გერმანიისა, რუსეთ-ოსმალეთისა 1878 წ.) ეროვნულმა საქმეებმა გამოიწვია. ამ საქმეებისავე გავლენით, აგრეთვე დიდთა სახელმწიფოთა ეკონომიურ მეტოქეობის წყალობით, უფრო-კი პირველის მიხეზნით, გაძლიერდა ის საოცარი მილიტარიზმი, რომელიც ახლო მომავალში შთანთქვას უპირობს განალთებულ კოლობის მწარმოებელ ძალას. რასაკვირველია, პოლიტიკაში ისევე, როგორც ინდივიტურ მეტნიერებაში, წინანდელმა საუკუნეებგერი რამ დაუტოვა მეცხრამეტის მაგრამ ყველა ეს იშვიათი იყო და განმარტოებულ მოვლენას წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, ნიდერლანდიელთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ეკვი არ აბის დიდად დაეტყო ჯონ ადამისა, ვაშინგტონისა, ფრანკლინისა და სხვათა მიერ 1776 წელს (დღევანდელ შეერთებულ შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს) ხელმოწერილ დეკლარაციას ადამიანისა და თვით-მართველ შტატის უფლებათა შესახებ. თავის მხრივ ის პრინციპები, რომელიც დიდებულ ამერიკელებმა აღიარეს, საფუძვლიადად ეტყო პირველ საფრანგეთის რესპუბლიკის დეკლარაციას. ეს ახლს უნდა მომხდარიყო, თუ გაიხსენებთ რომ ამერიკის რესპუბლიკის წიგნი ერთი მოღვაწენი ლაფაეტი, ბრისონი და სხვანი საფრანგეთშიც მოღვაწეობდნენ. რესპუბლიკისა და საფრან-

*) იხ. „ივერია“ № 69.



ვი გ. გ. ვიზგულაძე, ე. გ. ვი-
დენბაუმი, თავ. კ. ამირეჯიბი, თავ.
პ. ი. წულუკიძე, თავ. დ. ზ. ჩო-
ლოყაშვილი, ნ. ი. კოლობაძე, ს.
ტ. მელიქ-ბეგლიარაძე, ტუსაყვი,
ემირაძე, ბარონ შტეინგელი, ა. პ.
ბანმეტევი, პროფესორი პეტრია-
შვილი, ამედ-ხან მოკინსკი. ამავე
სხდომასზე, სხვათა შორის, კომი-
ტეტმა განიხილა გამოყენებულ შე-
სასვლელ ფასის მომატების საქმე და
დაადგინა, სადამოკებით ყოველ კვი-
რაში სამ პირველ დღეს შესასვლე-
ლი ფასი იქნება ათ-ათი შაური, ხო-
ლო დანარჩენ დღეებში. როგორც
იყო, კვირაობით-კი 20 კაპ.

როგორც წინადაც ვწერდით, კო-
მიტეტს მოსდის მრავალი განცხა-
დება გამოყენებაში მონაწილეობის
მსურველთაგან და ექსპონატები. ამ
დღეებში, სხვათა შორის, ასეთი გან-
ცხადებანი მოუვიდა კომიტეტს შე-
მდეგ სასწავლებელთაგან: ტფილი-
სის რეალურ სასწავლებლისაგან,
შუშის სამასწავლებლო სემინარიისა-
გან, ბაქოს, განჯისა და კავკასის
რეალურ სასწავლებლის დირექტო-
რებისაგან, ყუბანის სამასწავლებლო
სემინარიისაგან და სხვათაგან. თი-
თოეული მათგანი ორთა-შუა რიც-
ხით ცხრა-ცხრა ოთხ-კუთხ არშინ
მიწას თხოულობს გამოყენებულ თა-
ვიანთ ექსპონატებისათვის.

წარული ბათუმისა

როგორც ვაცნობთ კიდევაც დე-
პეუთ, ბათუმის საბჭომ დღევან-
დელს მორაგს კრებაზედ, მოისმინა-
რა ბ-ნის ქუთაისის სამხედრო გუ-
ბერნატორის თანამდებობის აღმას-

გეთის პირველ იმპერიის ომებში და
ბრძოლებში, მოჰქონეს რა მთელი
როპას ახალი პრინციპები და გამო-
იწვიეს რა ერთა დამოუკიდებლობი-
სათვის ბრძოლანი, პირდაპირ მიზე-
ზად გაუხდნენ და საფუძვლად დაე-
დგინენ ეროვნულ მოძრაობასა და
პარლამენტარიზმს გერმანიასა, იტა-
ლიასა და ესპანიაში. შემდეგ ამ მო-
ძრაობამ სლავიანთა და საბერძნე-
თიც გაიტაცა.

მე-VIII საუკუნის დასასრულს
გერმანია წარმოადგენდა ქვეყანას,
მრავალ წვრილ სახელმწიფოებად
დაწარმოებულს, რომელთა პოლი-
ტიკურა და საზოგადოებრივ წყო-
ბილებას ჯერ კიდევ ბევრში ფეო-
დალური ელ-ფერი ელო და რომე-
ლთა საფუძვლად ბატონ-ყობა შე-
ადგენდა. მრავალ უნივერსიტეტის
მიუხედავად, მეცნიერების მხრივ გე-
რმანია ბევრად უკან იყო ინგლისსა
და ს. ფრანგთაზედ. იმისი მეცნიერნი
სხოლასტიკის ბაღში იყვნენ გაბე-
ლნი, იმისი ფილოსოფია უფრო თე-
ოლოგიას წარმოადგენდა. იმ დროს,
როდესაც საფრანგეთსა და ინგლის-
ში მოწინავე კაცი, ვიკოსა და
ლოკის შემდეგ, ცოდნათა, სა-
ზოგადოებრივ დაწესებულებათა და
მთლად ჩვენის ისტორიის განვითა-
რებას ჰხსნიდნენ ბუნებრივის მიზე-
ზებით და გარს შემორტყმულ ქვე-
ყნის გავლენით, გერმანიაში თვით
უგონიერესნიც-კი თავს ჯერ კიდევ
ბოსნეოეტიის და სხვა ამ გვართა ის-
ტორიულის მონიზმით ირთობდნენ.
თვით ლესინგიც-კი, რომელსაც ეს
ოდენი გავლენა ჰქონდა ნემეცთა

რულეზების განკარგულება, რომ
ქალაქის მოურავის ამხანაგთანაყო-
ფი და ორ-გზის საბჭოს მიერ გაშა-
ვებული გამგეობის წევრი ბ-ნი ი.
ა. ივანოვი საქალაქო წესდების
119 მუხლის ძალით იმავე თანამდე-
ბობაში ინიშნება ოთხის წლის ვა-
ლით გამგეობის წევრად, დაადგინა:
ბ-ნ გუბერნატორის თანამდებობის
აღმასრულებლის განკარგულება,
რომლითაც საბჭომ თავისის უფლე-
ბის შეზღუდვა დაინახა, სადაც ჯერ
არს, განასაზიგროს, განსაზიგრებაზედ
თანხმობა გამოაცხადა 17 წევრმა
ბ-ნის წინააღმდეგ.

ბ-ნის ასათიანის ავადმყოფობისა
გამო საბჭოს თავმჯდომარეობდა
ბ-ნი ივანოვი საზოგადოდ ამ უკა-
ნასკენელს ხანებში ბ-ნი ასათიანი
ავადმყოფობის გამო იშვიითად ესწ-
რება ხოლმე საბჭოს სხდომებსა და,
ბათუმის გამგეობის სავალალოდ,
ეს გარემოება საქმეების განხილვისა
და წესიერად მართვას ხელს ძლიერ
უშლის. ესევე უნდა იყოს მიზეზი,
რომ საქმეების წარმოებას ამ ბო-
ლოს დროს ნათლად ეტყობა „პო-
ლიტიკა არც აქეთ-არც იქითობისა“.

ამობადნენ, ბ-ნის ივანოვის დანი-
შენის საქმის განსასაზიგრებლად საბ-
ჭოს ორი უმთავრესი საბუთი აქვსო:
ერთი ის, რომ ორჯერ გაშავებულის
ივანოვის ნაცვლად არჩეული ბ-ნი
მარკვეიზი, რომელსაც მოუსურვებია
ერთ და იმავე დროს ორი თანამდე-
ბობის აღსრულების შერჩენა და ვი-
თომც ამხე გუბერნატორი უთან-
ხმობას აცხადებდა, ვერ დაემატი-
ებოთ, ეს საბჭოსათვის არავის შეუტ-
ყობინებია, და აუ შეიტყობდა, შეი-
ძლება შესაძლებლად დაენახნა და

ლიტერატურაზედ, კაცობრიობის ის-
ტორიულად განვითარების ახსნა-გა-
ნმარტების დროს ყოველ ხანას გვე-
რდში ამოუყენა „გამოცხადებათა
(откровение) გაფართობა“ (იხი-
ლე იმისი „კაცობრიობის აღზრდა“).
ასეთისავე ზესთაბუნებრივ მხეხელ-
ლებისა იყო შემდეგში ჰეგელი, რო-
მელმაც „გამოცხადებათა“ ადგილი
სულს დაჰქრინა და რომლის აზ-
რითაც ისტორიული განვითარება
მსოფლიო სულის თვითგამოჩინება
(სულის ფენომენოლოგია). შესანიშ-
ნავია, რომ ეს ზესთაბუნებრივი მო-
ნიზმი განიმეორა თავის თხოუზულე-
ბებში ჰეგელის მიმდევარმა დიადე-
ქტიკოსმა მარქსმა, რომელმაც თა-
ვისის მხრივ მსოფლიო სულის ად-
გილას კაპიტალი და მისი მოვლინე-
ბანი გააბატონა.

ხოლო თუ რამდენად ჩამორჩენი-
ლი იყო საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბა, საქალაქო მოვარათო მკითხველს,
რომ ჰანოვერის მეფე თავისს ქვეშე-
ვროდომ ჯარის კაცებადა ჰყიდდა
ინგლისში (იხილე „ვერავობა და
სიყვარული“ შილდერისა); რომ წა-
მება და სასტიკი სასჯელი დაკანო-
ნებული იყო, რომ ებრაელნი ცხო-
ვრობდნენ საკუთარ უბნებში, რა-
მლის კარებიც ჩამოღებულისავე
იკეტებოდა (იხილე ბიორნეს ბი-
ოგრაფია) და რომ ყველა ეს
დამყარებული იყო ყმა ქვე-
ულ ხალხის მონურ შრომასზედ. მარ-
ტო ეს უფლება ჩამორთმეული და
ყმა დახდარი დაბალი ხალხი არ
იყო თვით-ცნობიერებასა და ერ-
თობას მოკლებული; საშუალო

თანხმობა გამოცხადებინა; მეორეც,
ეს მიზეზი არც საბჭოს ჯიუტობასა
და არც უწყობად მოქცევას არ მიე-
წერებოდა, რომ ამით გუბერნატორს
უფლება მისცემოდა და საბჭოსთვის
არჩევანების უფლება ჩამოერთმია და
გამგეობის წევრი თვითონ დაენიშნა
და ისიც ორჯერ გაშავებული ივა-
ნოვი. მეორე მიზეზით, სხვათა შო-
რის, იმას ასახელებენ, რომ მეორე
ტომის მე 282 მუხლში მოხსენებული
თურმეა, რომ გუბერნატორები მოხე-
ლეთა დანიშნვის დროს იმითაც უნდა
ხელმძღვანელობდნენ, თუ რომელ-
სამე თანამდებობაზედ დასამტიკებ-
ლად წარმოდგენილი კაცი რამდენად
ღირსია საზოგადო პარტიის ცემისა და
ნდობისა, რაცა ორჯერ საბჭოს მი-
ერ და ამდენჯერვე ქალაქის ამო-
მრჩეველებისაგან გაშავებულს ივანო-
ვზედ არასოდეს არ ითქმის.

მეორე საქმეთ დანიშნული იყო
გამგეობის მოხსენება იმის შესახებ,
რომ ბათუმისა და მის არე-მარეში
ქაობების ამოსაშრობად, უკვე და-
ხარჯულის 150,000 მანეთისა გარ-
და, კიდევ გამოეთხოვათ 217,992 მან-
და 30 კაპ., ივანოვის სიტყვით, აღ-
მოჩნდა, რომ გამგეობას არავითარი
წესი არა ჰქონია შემუშავებული და-
ხარჯულის ფულით წესიერად მოხ-
მარების შესამოწმებლად და ამნი-
რის ღირს-შესანიშნავის პასუხით გა-
კვირვებულს ხმოსნებს გამოუტყდა,
რომ მან, (ბ-ნ ივანოვმა), საქმის
გარემოება გარკვევით არ იცის და
მისზედ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს,
რადგანაც მის წარმოებაში ი. მო-
ნაწილეობას არ იღებს და არც სა-
ქმეს ვასცნობია: „ამისათვის ჩემ მი-
ერ საქმის მდგომარეობის განმარ-

და უმაღლესი კლასნიც პარტი-
კულაირიზმს ვერ ვასცილებული-
ყვნენ, ე. ი. ეს კლასები წვრილ
სამთავროებისა და პროვინციების
პარტიოტებს წარმოადგენდნენ.

ყველა ამას ძირი გამოუთხარა
და თითქმის ბოლო მოუღო საფ-
რანგეთის შესევამ. ფრანგებმა მი-
წასთან ვასწორეს ძველი ფორმები,
განათავისუფლეს პიროვნება, სასა-
მართლოს წინაშე თანასწორობა
დაამყარეს. განსაკუთრებით ნაპოლე-
ონის მძარცველობამ და ჯარიანო-
ბამ გამოიწვია ძლიერი დემოკრა-
ტიული და ამასთან ერთად პარტი-
ოტული და მთელ გერმანიისათვის
საერთო მოძრაობა. განვლილ საუ-
კუნის პირველ 10—15 წლის ლი-
ტერატურა, პუბლიცისტიკა და ფი-
ლოსოფია სავსეა მაღალის საზოგა-
დოებრივ იდეალებით, ამასთან ეს
ლიტერატურა და პუბლიცისტიკა
გამსჭვავულია ძლიერის სიყვარუ-
ლით ეროვნების მიმართ. ფილო-
სოფიამ, ფიხტეს მოძღვრებით, სა-
ფრანგეთის გავლენის ეს ორივე
მხარე შეითვისა. თავისს წიგნში
საფრანგეთის რევოლუციის შესახებ
იგი სავსებით ახალ იდეალების, ახალ
უფლებათა მხარესაა; „თანამედროვე
ხანთა საფუძვლებში“ იგი ჰხსნავს
„იდეალს ძლიერ ეროვნულ-კულ-
ტურულ სახელმწიფოსას“. საზოგა-
დოების მოწინავე ნაწილს, განსაკუ-
თრებით იმ ახალ-გაზდობას, რომე-
ლიც დამოუკიდებლობისათვის ბრძო-
ლის დროს აღიზარდა და რომელიც
ევრედ წოდებულ ახალგაზდა გერმა-
ნიის ძლიერებას შეადგენდა, სავსე-

ტება უსაფუძვლო და გამოუსადეგა-
რი იქნებოდა, — დასძინა ივანოვმა,
რომელიც ავტო ექვსი წელიწადია
ქალაქის მოურავის ამხანაგის თანამ-
დებობას ასრულებდა და გამგეობის
წევრათ ითვლებოდა და რომელსაც
ახლა საბჭო სრულს უნდობლობას
უცხადებს. აღნიშნული კითხვის შე-
სახებ საბჭომ დაადგინა: დავალოს
გამგეობას, ჯეროვანის ნებართვის
მისაღებად შუამდგომლობა აღძრას
და დახარჯული ფულის ანგარიში
და მისის მოქმედების მდგომარეობა
საბჭოს ვააცნოს.

სავაჭრო და სამრეწველო დუქან-
მალაზიებისა და სახელოსნოების კვი-
რა-უქმე დღეებში დაკეტვის შესა-
ხებ საბჭომ დაადგინა, მოხსენება
ამის შესახებ შეესებულის ცნობებით
დასაბუთებული დასამტიკებლად ბ-ნ
გუბერნატორს წარუდგინოს.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავის
ამხანაგის არჩევანს შეუდგნენ. თავ-
მჯდომარემ ბ-ნმა ივანოვმა გამოა-
ცხადა, რომ, რადგანაც საბჭომ და-
დგინა ჩემი ხელ-მეორედ გუბერნა-
ტორის მიერ გამგეობის წევრად და-
ნიშვნა განასაზიგროს. ამისათვის არ-
ჩევანები აღარ უნდა მოხდეს და
კრებას ვსურავო. თავმჯდომარემ
ამის შემდეგ პასუხს აღარ მოუცადა,
ჯაკვი გადირო, ქუდს ხელი მოჰ-
კიდა და წასვლა დააპირა, მაგრამ
გზაში შეაყენეს და აუხსნეს, რომ
მისი მოქმედება არც ზრდილობასა
და არც არსებულს წესს არ შეე-
ფერება და უწყსიებას იწვევს. ეს
ჩემი სურვილია და ასე ეიტყვიო, —
განაცხადა თავმჯდომარემ და წავი-
და, რომელსაც თან გაჰყვნენ მისი-
ვე ძმა-ბიჭები ბ. ბ. პალმი, ხუდადი-

ანცი, თაბუმიანი, გუბერნატორი
და შექიმ ტრიანდაფილდუსი, ის
ტრიანდაფილდუსი, რომლის ქომა-
გობასა და განუხარხრელს მფარვე-
ლობას მკურნალი ელიოვა გამგეო-
ბის წევრს ვოლსკის სწამებს. ამით
არ გაჰყვა ოკამდე ხმოსანი და, მათ
შორის, ხსენებული მკურნალი ელი-
ავა.

ბ-ნის ივანოვის მიერ ჩადენილ
უწყსოებით აღვლევებულმა ხმოსნებ-
მა წინადადება მისცეს გამგეობის
წევრს ვოლსკის, რომ თავმჯდომარე-
ობა ეკისრნა და ივანოვის ჩადე-
ნილი უწყსოება დაწვრილებით ოქმ-
ში ჩაეწერათ. ამის შემდეგ ყველანი
დამშვიდდნენ და სრულის წესიერე-
ბით არჩევანი განაგრძეს.

რადგანაც კანონით გამგეობის ყვე-
ლა წევრს უფლება ეძლევა ქალაქის
მოურავის ამხანაგის თანამდებობა-
ზედ კენჭი იყაროს, ამის გამოკენ-
ჭი იყარა ბ-ნმა ვოლსკიმ და დაუდ-
გეს ყუთი ბ-ნ ივანოვსაც, რომე-
ლიც იმ ეჰმად იქ აღარ იყო. კენ-
ქის ყრით აღმოჩნდა, რომ ივანოვმა
მიიღო 17 შავი ჭ მთერთი, ხოლო
ვოლსკიმ 17 თერთი 3 შავი. ასე
რომ ივანოვი ერთჯერ კიდევ გაა-
შავეს და ქალაქის თავის ამხანაგო-
ბის თანამდებობაზედ ბ-ნი ვოლსკი
ამოიჩინეს.

როგორც ხმა ისმის, ზოგერთს
ხმოსნებს მოლაპარაკება ჰქონიათ
საბჭოში წინადადება შეეტანათ, ან
ცალკე დეპუტაცია გაეგზავნათ ბ-ნ
გუბერნატორთან სათხოვნელად, რომ,
რადგანაც ამოდენა ქთანხობების
შემდეგ ბ-ნ ივანოვთან ერთად საერ-
თო საქმეში სამსახური შეუძლებე-
ლი-ლაა, იგი ქალაქის საქმეებისაგან

საოლქო თვით-მართველობის შესა-
ხებ, ყოველსავე მეცადინეობას ფე-
დერაციულ წყობილების დასამყა-
რებლად სასაკილოდ იგდებდნენ,
სულელურ უტოაიებად სთვლიდნენ.
ამ საქმეში თანახმანი და ერთ აზ-
როვანნი იყვნენ სხვა-და-სხვა იდეა-
ლების მალარებელნი და ინტერე-
სების მიმდევარნი. ცენტრალიზმი,
მაშასადამე, ბიუროკრატიზმი გავრ-
თიანებულ გერმანიის ძლიერ ეროვ-
ნულ-კულტურულ სახელმწიფოს სი-
ნონიმად გადაიქცა.

აი, ეს მიზეზი იყო, რომ რადი-
კალებად და რევოლუციონერებად
ნამყოფნი, როგორც, მაგალითად,
პოეტი ფრეილიგრატი და ფილოსო-
ფოსი შტრაუსი, ისე ძლიერ და
გულწრფელად ადიდებდნენ ბისმარ-
კსა და იმის ომებს, როდესაც ოფი-
ციოზურმა და ოფიციალურმა ნაცი-
ონალიზმმა ბისმარკის წინამძღოლო-
ბით შეჰქმნა ცეცხლითა და მახვი-
ლით დღევანდელი გერმანიის იმპე-
რია.

**გ. მარველი
(შემდეგი იქნება)**

შეგდომის ვასწარება.

წინანდელ წერილში (№ 55) მე-3 გვერ-
დზედ, მესამე სვეტში, ქვემოდავან მე-19
პუნქტში შეცდომით დაბეჭდილია: „ბიზმ
თავისს მცირე ნაწარმოებში, რომელიც
ვერე დიდად დაფასა ბეკონმა“. უნდა
იყოს: „რომელიც ვერე დიდად დაფასა
ბოკლმა“.

ჩამოეცილებინათ და, თუ საჭირო იქნებოდა, სარჩენად ქალაქი დროებით ფულს დაუნდნებდა; მაგრამ ამნიერი მოსაზრება ახლის გუბერნატორის დანიშნვამდე შეუფერებლად უცნობათ და დაუდგენიან ივანოვის დანიშვნა განასაჩივრონ.

კრაზანა

რუსეთი

სადგომების სიძვირის გამო მოსკოვ-ყაზანისა და ნიჟეგოროდის რკინის გზის გამგეობას, გადაუწყვეტია ამ გზის მოსამსახურეთ დაუთმოს თითო 100—200 საუ. მიწა სახლების ასაგებად. ამავე გზის შემნახველ-გამსესხებელი კასა, რომელსაც 4 1/2 მილიონი აქვს, თავის მხრივ სესხს აძლევს მოსამსახურეთ მათ მიერ შეტანილ ფულს ოცჯერ მეტს. ეს ვალი გადახდილი იქნება 20 წლის განმავლობაში და სახლის ამშენებელი სახლის სრულ პატრონად გახდება.

რუსთა ახალგაზრდა მწერალი მაქსიმ გორკი იალტაში მიდის თურმე სამკურნალოდ, სადაც ამ წლის გასვლამდე დაჰყოფს.

უმართებელსმა სენატმა განმარტა, რომ თუმცა ქალაქის საბჭოთა უფლება აქვთ თვალყური ადევნონ ვაჭრობის წესიერად წარმართვას, მაგრამ მათ უფლება არა აქვთ აღუკრძალონ კერძო მამულის პატრონებს დაუთმონ თავიანთი მიწები სანოვაგის და საეპროლქების ასაგებად.

პეტერბურგის ხუროთმოძღვართა საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ საშუალო სკოლის რეფორმის დროს ყურადღება მიექცეს სამხატვრო-სატექნიკო განათლებას და ეს საგანი სავალდებულოდ გახადონ სასწავლებლებში.

მოსკოვის სამსწავლებლო ინსტიტუტში გახსნილ იქნა შინა ხელოვნობის კურსები გიმნაზიისა, სამსწავლებლო სემინარიებისა, საქალაქო და პირველადწყებით სკოლების მასწავლებელთათვის. კურსებზედ გამოცხადდა 40 მასწავლებელი: მოსკოვისა, ოდესისა, ყაზანისა, კავკასიისა, ვარშაიისა, ხარკოვისა, კიევისა და სხვა ოლქებიდან. კურსები 1 აგვისტომდე გაგრძელდება.

უცხოეთი

ჩინეთი. როგორც ვაზ. „North China Daily News“ ახსიათებს ღიხუნგ-ჩანგს, ამ შესანიშნავ სპეციტიკო მოღვაწეს ჩინეთისა შემანიშნავი თავის შემავრება თურმე შესძლებათ: თავზედ რომ ცხენგროდეს, წარს მანინ არ შეიხრისო. მართალია, კონფუციუსს უკვდავ მამავეს სწორედ ასეთი ხსიათი უნდა ჰქონდეს შემუშავებული და შექმნილი უოვედგვარს ზიარებებში თავი შეამკრას, მაგრამ თავის შემავრება ღიხუნგ-ჩანგის მანინ შეტად აშვითი რამ არისო. ღიხუნგ-ჩანგს სხე მეტად სისტემა და უმძიმავო, გამოუმეტრებული აქვს, ასე რომ ადამიანი

ვერც ერთს მისს აზრს და ფიქრს ვერ შეიტყობს, ვერც ერთს დაფარულს განზრახვას, სულაურს მოძრაობას ვერ მიუხვდება. უგუდასეად სავარაუდო ის არის, რომ ღიხუნგ-ჩანგს დადღილობა და დიდის ხნის მოგზაურობა სრულიად არ ეტყობა და ვერც თუ შეატყობს ადამიანი, რომ ამ კაცს თავის სიღრმე-ხელონით ბევრი რამ გამოუდგია, ბევრი უნახავს; ღიხუნგ-ჩანგი დაღმდის ისევე ნამდვიდი ჩინელია, ატრის ტოლად შეუტყველი. სხვასთან დაზარებისა და ფიქრის დროს ჩინურს ზრდილობას უნაკლებად და ერთგულად ასრულებს და ტუფიად ედგება გინმეღიხუნგ ჩანგს დასტუფოს, ათქმევინოს რამე. ღიხუნგ-ჩანგი თვითონ იქამდის გამოდგადი და დაკვირვებული კითხვების მიტყმაში, რომ ადამიანი იშვითად რასმეს ათქმევინებს, თუ თვითონვე არ მოისურვას; პირ-იქით, ძალიან დახვლავსეული და უშვავი ადამიანი უნდა იყოს მისთან გამოსაკითხავად შიმსვლელი კარგესეულიც, რომ თვითონვე უკვლავფრო არ დარწმუნდეს მის წინა და თავის მხრივ მას ათქმევინოს რამე.

ღიხუნგ-ჩანგი დარწმუნებულია, რომ ჩინეთი სამხედრო საზღაურს ადვილად მოახდის, თუ საბაჟო კარდასახდების მომართების ნებას მისცემენ და კარგე სესხებზე შედგათიანი პირობებით აიღეს. რაც შეეხება მისსიებს, ღიხუნგ-ჩანგის აზრით, საუკეთესო საშუალებათ ის უნდა ჩათვალოს, რომ მისსიონერების მოქმედება სრულიად მოახდის, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მისსიონერები გაქრისტიანებულ ჩინელების ზიარდს ცხოვრებაში და კერძო საზოგადო საქმეებში არ ჩაეროვნენ ხოლმე. ეტვი არ არის, ჩინეთს ადვილად შეუძლიან თავისი მიწა-წყალი და ქონება შეინახოსო. რაც შეეხება ცვლილებათ, ესენიც უთუოდ შეეძლებული იქნებოდა, მაგრამ წერად-წერად-კი, რადგანც ათ წლამდე ქვეყანა ისე ადვილად ვერ გამოგრდება და ფეხზედ ვერ დადგება და ბუნებით სიმდიდრე ჩინეთისა საკმაო საშუალებასა და ხელს ვერ მოაძიებს, რომ უცხად განეთარდეს და ქვეყანა გაამდიდროსო.

საზრანბითი. „Journal Official“-ში გამოქვეყნებულია განკარგულება შინაგან საქმეთა მინისტრისა იმის შესახებ, თუ რა წესითა და რიგით უნდა ითხოვონ მთავრობის მხრივ ნება-რთვა ძველმა და ახალმა ნება-დაურთველმა კონგრეგაციებმა. დირექტორმა და ადმინისტრატორებმა ამა თუ იმ კონგრეგაციისა (უკვე არსებულია თუ ახლად განზრახულია) შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა წარუდგინონ თხოვნა და მისთან წესდება და დაწვრილებითი სია მოძრავ-უძრავის ქონებისა, სხვა ნივთიერ წყაროებისა, და სია წევრებისა, მათის ერგებებისა, წყაფანობისა და დახმების ადგილის ადნიშნით. წესდებაში დაწვრილებით უნდა იყოს ნაჩვენები, კონგრეგაციის რა აზრი და დანიშნულება აქვს, სად ექმნება უმთავრესი გამოცემა და სად სხვა დაწესებულებანი, აგრეთვე მათის ადმინისტრატორებისა და დირექტორების სახელები და ვინაობა და სხ. წესდებაშივე ნათქვამი უნდა იყოს, რომ კონგრეგაცია და მისნი წევრნი ვადებულები არიან ადგილობრივს მთავრობის წარმომადგენლებს დაუმორჩილებენ-კარდა ამისა; წესდება ადგილობრივის ეპარქიის ეპისკოპოსის მიერ

დამტკიცებული უნდა იყოს. ამის შემდეგ თხოვნასა და წესდებას შინაგან საქმეთა და სარწმუნოებათა მინისტრები განიხილავენ და, თუ სკარდა სწობენ, შეუძლიან აქ-იქ წესდებას შეცვლან მითხრობენო.

ინგლის ტრანსპაალის მ.მ. „Berliner Tageblatt“-ს ატეობინებენ ამსტერდამიდან:

როგორც ვაგადგან იუწყებიან, რანხვეს რესპუბლიკის მთავრობასაც ისრეთივე ვადაჭრიდა უარი კანუცხადებამისს შეწყვეტაზე, როგორც ტრანსპაალისა და დუდგენათ, თუ რომ შინაგანს ქვეყნის მართვა-გამგეობაში სრულს დამოუკიდებლობას არ მიაჩვენებენ, იმი არ შესწავიტონ, მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში შეიძლება რესპუბლიკის კარგე მთავრობაში იქმნას ინგლისის სიუზერენიტეტი მიღებულიო. როგორც ამბობენ, მალე ისევე შეიძლება იმთავად-ზარაკება დაწყება. რანხვეს რესპუბლიკის ბურგის სამხედრო და სავაჭრობე-და სამზადისი ვერ კიდევ შეუქმნა წყდოდას არ შეეძლებათ, და არც სავაჭრობეა, რადგანც ამ ბოლოს დროს სულ ერთ-თავად ინგლისელები იარაღსა და სურსათს ჰზარდადენენ, რომელსაც მუდამ სავაჭრო სტატუსდენენ მტერს.

ინგლისის მეფემ ედუარდ VII კარგად უწყის სამხრეთ-აფრიკის იმის შესახებ ეგრობის საზოგადოება რა აზრისა; ამისათვის, ეტვი არ არის, ქვეყნისავე სასარგებლოდ უნდა სვდებოდეს იხსნას იგი ამ სისხლის დგრისაგან, ინგლისის სახელო და მატროსება დაიცვას როგორმე. თუ რომ აწ განსვენებულის ინგლისის დედაფელის ვიქტორიასაგან უკვდავ სასაყვედრო და სწინადმდგომ წერილების დამაღვა და დაფარვა ადვილად შეიძლებოდა და ქვეყნისა და ერის აზრი მეფის უურამდე არ დაწყება, სამაგეროდ ედუარდ VII ეს წერილები ესლა ზიარდებო ხელში აქვს და აღარ იფარება და იმალება-რა. რაც შეეხება ამ წერილების მიმფარებლებს, ისინი სასხლადგან მთლად განიღვინენ, სამუდამოდ ნდობა დაჰკარგეს.

დეკემბა

(რუსეთის დეკემბა საავტოტოსაგან) 27 ივნისი.

გაზინფორმი. ჩინეთმა ელჩის ფუტინთანის პირით მოსტხოვა შვედეთ. შტატებს ნახევარი მილიონი დოლარი იმ ძალ-მომრეობისათვის, რომელიც ფონტანკაში 1886 წელს ჩინელთა წინააღმდეგ იხმარეს.

ხარკოვნი. საადგილ-მამულო ბანკის აქციონერთა კრებას ლაპარაკი ჰქონდა ბანკის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა სამართალში მიცემის შესახებ იმ უკანონო მოქმედებისათვის, რომელიც მთავრობის რევიზიამ გამოაკვირა. კრებამ, ამ საქმის გამო ცხარე და ხანგრძლივ კამათის შემდეგ, კენჭის ყრით დაადგინა ბრალმდებელს გადასცეს საქმე ბოროტ-მოქმედების შესახებ და მიანდოს ახალ გამგეობას დაიწყოს სამოქალაქო დავა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და განსვენებულ აღივსკის ქონების მხრულველთა წინააღმდეგ. საგანგებო კრება ღამის ორ საათზედ დასრულდა. დონის როსტოვნი. ტავანროვის

ოლქში, სოფლებს ხომეცოკსა და კონკოვს შუა მსხვილი სეტყვა მოვიდა, რომელმაც 6,000 ღებეტინამდე ნათესობა წაახდინა.

28 ივნისი იაროსლავნი. 26 ივნისს აქ მოვიდა ბეჭდვითი საქმის მთავარ გამგეობის უფროსი თავ. შახოვსკი.

დონის როსტოვნი. პურის მოსავალი დონის ოლქში საზოგადოდ საშუალოზე ნაკლებია.

სტავროპოლის გუბერნიის მიმოსავალი საშუალოზედ ნაკლებია.

ყუბანის ოლქში მოსავალი საზოგადოდ საშუალოზედ უკეთესია, ზოგან კარგაცა.

ზაბაზა. არჩევანებზედ ოპოზიციის გამარჯვების გამო, კაბინეტი თანამდებობიდან გადადგა.

სადილრომატო კარაუსის იმ წევრთ, რომელნიც სამუდამო სამედიცინო სასამართლოს გამგეობას ეკუთვნიან, გამოსათხოვებელი სადილი გაუმართეს პარასკევს გარეშე საქმეთა მინისტრს, როგორც ამ სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს.

ბაბუბაძი. კრადოკიდგან გამოგზავნილი დეპუტა იუწყება, რომ იქ ამ კვირის განმავლობაში პირველად დასჯიან ჩამოხრობით დალოტისა და მოკვლის განზრახვისათვისაო. სხვა აჯანყებულნი გულში ჩამოახჩეს მადელსბურგში.

როგორც ისმის, შეპერსმა მცირე რაზმით დაიპირა მურრისბურგი და დიდად დაზარალა იგი. ორი-სამი დღის განმავლობაში შეპერსმა დასწვა იქ კერძო კაცთა სახლები და საზოგადო დაწესებულებათა შერობანი; გამოაქვეყნა აგრეთვე პროკლამაცია, რომელშიც გამოაცხადა, რომ ქალაქი ორანჯეს რესპუბლიკის მიწა-ადგილს ეკუთვნისო და დაპირდა მცხოვრებთ ინგლისელთაგან დაცვას.

გ ა ნ ც ხ ა დ ე მ ბ ა ნ ი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 2 ივლისს ნაშუადღევს 1 საათზედ გამგეობის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა. რომელზედაც იჯარით გაიცემა სადგინდეტო სადგურისათვის ორის ოთახის აგების საქმე. სამუშაო სულ 1378 მან. 63 კაპეიკისაა.

მსურველს შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა უქმეებს-გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3-5-2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 2 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ოროლოვის ქუჩის მოკირწყვლა. აგრეთვე ამ ქუჩაზედ გასამაგრებელ კედლის აშენება. სამუშაო 3255 მან. 35 კაპეიკისაა.

მსურველს შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3-5-1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 3 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის წყლის სადენ მილის გამართვის საქმე მამადავითის ქუჩიდან თინვალისა და ლაბოროტორიის ქუჩაზედ გურგენიძის სახლამდე.

მსურველს პირობანი შეუძლიან გასინჯოს გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3-5-1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 3 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით მოხდება


საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის წყლის სადენ მილის გამართვის საქმე ავქალის ქუჩიდან ავქალის ვიწრო ქუჩისა და მინკვიცივის ქუჩაზედ.

მსურველს შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3-5-1)

იკლმპა

ქირით სუთი ოთახი. ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.



როიალები
პიანინო
ფის-გარმონები, სკრამპები, გიტარები, ფლეტები, კლარნეტები, ორგანი, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შექმნა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

მ რ ე ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება,

გაგასაის ცენტრალა საწუობა
სამუსიკო იარაღებისა
ბ. ბ. მირიმანიაშვილისა
Музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24-5-14)